

შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების 1979 წლის
კონვენციის ოქმი ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ
მანძილებზე გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი
პროგრამის გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ
(EMEP)

ხელშემკვრელი მხარეები,

იმოწმებენ რა, რომ კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ (შემდგომში მოიხსენიება როგორც "კონვენცია") ძალაში შევიდა 1983 წლის 16 მარტს,

აცნობიერებენ რა "ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ მანძილებზე გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის" (შემდგომში მოიხსენიება როგორც EMEP) მნიშვნელოვნებას, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე-9 და მე-10 მუხლებით,

ითვალისწინებენ რა EMEP-ის განხორციელებაში აქამდე მიღწეულ დადებით შედეგებს,

აღიარებენ რა, რომ დღემდე EMEP-ის განხორციელება შესაძლებელ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მიერ გაღებული ფინანსური საშუალებებისა და მთავრობათა წესაცდების შენატანების მეშვეობით,

გააზრებული აქვთ რა, რომ რადგანაც UNEP-ის ფინანსური მხარდაჭერა გაგრძელდება მხოლოდ 1984 წლის ბოლომდე და რამდენადაც ეს შენატანი, მთავრობათა წესაცდებით შენატანებთან ერთად, არასაკმარისი იქნება EMEP-ის სამოქმედო გეგმის სრულად განსახორციელებლად, შესაბამისად აუცილებელი გახდება გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფა 1984 წლის შემდეგ,

მხედველობაში იღებენ რა ევროპის ეკონომიკური კომისიის B(XXXVIII) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ მოწოდებას ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრ-სახელმწიფოების მთავრობებისადმი, რომ მათ შესაძლებელი გახადონ ფინანსური რესურსების მოზიდვა, იმ სახით, როგორც ეს გადაწყდება კონვენციის აღმასრულებელი ორგანოს (შემდგომში მოიხსენიება როგორც "აღმასრულებელი ორგანო") პირველ შეხვედრაზე, რაც აღმასრულებელ ორგანოს მისცემს შესაძლებლობას, განსაკუთრებით EMEP-ის საქმიანობასთან მიმართებით,

აღნიშნავენ რა, რომ ვინაიდან კონვენცია არ შეიცავს რაიმე დებულებას EMEP-ის დაფინანსების შესახებ, აუცილებელია შესაბამისი ქმედებების გატარება ამ საკითხთან დაკავშირებით,

მხედველობაში იღებენ რა სახელმძღვანელო პრინციპებს კონვენციის ოფიციალური დამატებითი დოკუმენტაციის შესადგენად, რომლებიც ჩამოთვლილია აღმასრულებელი ორგანოს მიერ მის პირველ სესიაზე (1983 წლის 7-10 ივნისი) მიღებულ რეკომენდაციებში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

განმარტებანი

წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის:

1. "გაეროს გაანგარიშებული ნორმა" ნიშნავს მოცემული ფინანსური წლისათვის, ხელშემკვრელი მხარისთვის გაეროს შენატანების გაანგარიშების შეაღის მიზედვით დაწესებულ ნორმას, დანახარჯების გასანაწილებლად.
2. "ფინანსური წელი" ნიშნავს გაეროს ფინანსურ წელს, და "წლიური ბაზისი" და "წლიური ხარჯები" განიმარტება შესაბამისად.
3. "საერთო მიზნობრივი ფონდი" (General Trust Fund) ნიშნავს საერთო მიზნობრივ ფონდს შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსასაზღვრო დაბინძურების კონვენციის განხორციელების დაფინანსებისთვის, რომელიც დაფუძნებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ.
4. "EMEP-ის გეოგრაფიული არე" ნიშნავს ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება EMEP-ის საერთაშორისო ცენტრების* მიერ კოორდინირებული მონიტორინგი.

მუხლი 2

EMEP-ის დაფინანსება

EMEP-ის დაფინანსება დაფარავს EMEP-ის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობაში მყოფი საერთაშორისო ცენტრების წლიურ ხარჯებს EMEP-ის ხელმძღვანელი ორგანოს სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისთვის.

მუხლი 3

შენატანები

1. ამ მუხლის დებულებების თანახმად, EMEP-ის დაფინანსება განხორციელდება სავალდებულო შენატანებით, რასაც ემატება აგრეთვე ნებაყოფლობითი შენატანები. შენატანები შესაძლოა დაშვებულ იქნას კონვერტირებადი ვალუტით, არაკონვერტირებადი ვალუტით და არაფულადი სახით (ნატურით).
2. სავალდებულო შენატანები ხორციელდება წლიური ბაზისის საფუძველზე წინამდებარე ოქმის ყველა ხელშემკვრელი მხარის მიერ, რომლებიც შედიან EMEP-ის გეოგრაფიულ არეში.
3. ნებაყოფლობითი შენატანები შესაძლოა დაშვებულ იქნას წინამდებარე ოქმის ხელშემკვრელი მხარეების ან ხელმომწერების მიერ, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათი ტერიტორიები მდებარეობს EMEP-ის გეოგრაფიული არეს გარეთ, აგრეთვე, ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაციით და აღმასრულებელი ორგანოს

* ამჟამდ არსებობს შემდეგი საერთაშორისო ცენტრები: ქიმიური მაკორდინირებელი ცენტრი, მასინთეზირებელი მეტეოროლოგიური ცენტრი – აღმოსავლეთი და მასინთეზირებელი მეტეოროლოგიური ცენტრი – დასავლეთი.

- დამტკიცების შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა ქვეყნის, ორგანიზაციის ან პიროვნების მიერ, რომელსაც სურვილი აქვს წლიური შეიტანოს სამუშაო პროგრამაში.
4. სამუშაო პროგრამის წლიური ხარჯები დაფარულ იქნება სავალდებულო შენატანებით. შენატანები ნაღდი ფულისა და ნატურის სახით, ისეთები, როგორიცაა საერთაშორისო ცენტრებისთვის მასპინძელი ქვეყნების მიერ გაღებული შენატანები, ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაციით და აღმასრულებელი ორგანოს დამტკიცების შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ან სავალდებულო შენატანების შესამცირებლად ანდა EMEP-ის ფარგლებში განსაკუთრებული საქმიანობის დასაფინანსებლად.
 5. სავალდებულო და ნებაყოფლობითი შენატანები ნაღდი ფულის სახით შენახულ იქნება საერთო მიზნობრივ ფონდში.

მუხლი 4

ხარჯების განაწილება

1. სავალდებულო შენატანები გადახდილი იქნება წინამდებარე ოქმის დანართის პირობების შესაბამისად.
2. აღმასრულებელი ორგანო ამ დანართში ცვლილებების შეტანის საჭიროებას განიხილავს:
 - ა) თუ EMEP-ის წლიური ბიუჯეტი თრიანგულურ გაიზრდება წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის წელს ან დანართში ბოლო ცვლილებების შეტანის წელს მიღებულ წლიურ ბიუჯეტთან შედარებით, იმისდა მიხედვით, თუ რომელი იყო უფრო მოგვიანებით; ან
 - ბ) თუ აღმასრულებელი ორგანო, ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაციით, ქმნის ახალ საერთაშორისო ცენტრს; ან
 - გ) წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან, ან დანართში ბოლო ცვლილებების შეტანიდან ექვსი წლის გასვლის შემდეგ, იმისდა მიხედვით, თუ რომელი იყო უფრო მოგვიანებით.
3. ცვლილებები დანართში მიღებულ იქნება აღმასრულებელ ორგანოს კონსენსუსით.

მუხლი 5

წლიური ბიუჯეტი

EMEP-ის წლიური ბიუჯეტი დგება EMEP-ის ხელმძღვანელი ორგანოს მიერ და მიიღება აღმასრულებელი ორგანოს მიერ არა უგვიანეს ერთი წლით ადრე იმ ფინანსურ წლამდე, რომელსაც იგი განეკუთვნება.

მუხლი 6

ოქმის ცვლილებები

1. წინამდებარე ოქმის ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია წამოაყენოს ცვლილებები ამ ოქმთან დაკავშირებით.
2. შემოთავაზებული ცვლილებების ტექსტი წარედგინება წერილობითი სახით ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს, რომელიც დაუგზავნის მათ წინამდებარე ოქმის ყველა ხელშემკვრელ მხარეს. ააღმასრულებელი ორგანო

განიხილავს შემოთავაზებულ ცვლილებებს მომდევნო წლიურ შეხვედრაზე იმ პირობით, თუ ევროპის ეკონომიკური კომისიის მდივანმა ეს ცვლილებები გადაუგზავნა იქმის ხელშემკვრელ მხარეებს სულ მცირე ოთხმოცდაათი დღით ადრე მის დაწყებამდე.

3. წინამდებარე იქმის, და არა მისი დანართის, ცვლილება მიიღება იქმის ხელშემკვრელი მხარეების წარმომადგენელთა კონსენსუსით და ძალაში შევა იქმის იმ ხელშემკვრელ მხარეთავის, რომლებმაც მიიღეს ივი ოთხმოცდამეათე დღეს იმ დღიდან, როდესაც მხარეების ორმა მესამედა გადასცა დეპოზიტარს სიგელები ცვლილების მიღების შესახებ. ნებისმიერ სხვა ხელშემკვრელ მხარესათვის ცვლილება ძალაში შევა ოთხმოცდამეათე დღეს მოცემული მხარეს მიერ ამ ცვლილების მიღების სიგელის დეპოზიტარზე გადაცემის თარიღიდან.

მუხლი 7

სადაო საკითხების რეგულირება

წინამდებარე იქმის ორ ან მეტ ხელშემკვრელ მხარეს შორის კამათის წამოჭრისას, იქმის განმარტებების ან გამოყენების შესახებ, მხარეები ისწრაფვიან კამათის დარეგულირებისაკენ მოლაპარაკების გზით ან სხვა ნებისმიერი მათვის მისაღები საშუალებებით.

მუხლი 8

ხელმოწერა

1. წინამდებარე იქმი გაიხსნება ხელმოსაწერად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, უნივერსიტეტი, 1984 წლის 28 სექტემბრიდან 5 იქტომბრის ჩათვლით, შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, ნიუ იორკში, 1985 წლის 4 აპრილამდე, ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრ-სახელმწიფოებისა და ევროპის ეკონომიკურ კომისიაში 1947 წლის 28 მარტის 36-ე(1v) რეზოლუციის მე-8 პუნქტის შესაბამისად საკონსულტაციო სტატუსის მქონე სახელმწიფოებისთვის და აგრეთვე ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შექმნილი არიან ევროპის ეკონომიკური კომისიის სუვერენულ წევრ-სახელმწიფოებისაგან და გააჩნიათ წინამდებარე იქმით გათვალისწინებულ საკითხებში მოლაპარაკებათა წარმოების, გადაწყვეტილებათა მიღების და საერთაშორისო შეთანხმებების გამოყენების კომპეტენცია, იმ პირობით, რომ ქვეყნები და ორგანიზაციები წარმოადგენ კონვენციის მხარეებს.
2. მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, ასეთი ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციები, თავიანთი მხრივ, სარგებლობები იმ უფლებებით და ასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე იქმით მათი წევრ-სახელმწიფოებისათვის. ასეთ შემთხვევაში ამ ორგანიზაციათა წევრი სახელმწიფოები არ სარგებლობები იგივე უფლებებით ინდივიდუალურად.

მუხლი 9

რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება და შეერთება

1. წინამდებარე იქმი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას ხელმომწერთა მიერ.

2. წინამდებარე ოქმი 1984 წლის 5 ოქტომბრიდან დღა იქნება იმ სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების შეერთებისათვის, რომლებიც აღნიშნულია მე-8 მუხლის 1 პუნქტში.
3. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების სიგელები გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შესანახად, რომელიც ასრულებს დეპოზიტარის ფუნქციას.

მუხლი 10

ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა ოთხმოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც:
 - ა) რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების სიგელები გადაცემული იქნება დეპოზიტარისათვის, სულ მცირე ცხრამეტი სახელმწიფოსა და ორგანიზაციის მიერ, რომლებიც აღნიშნულია მე-8 მუხლის პირველ პუნქტში და რომლებიც იმყოფებიან EMEP-ის გეოგრაფიულ არეში, და
 - ბ) გაეროს შენატანების შეფასების შეკალით გაანგარიშებული ჯამი ასეთი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციებისთვის გადააჭარბებს საერთო რაოდენობის 40 პროცენტს.
2. თითოეული სახელმწიფოსა და ორგანიზაციისთვის, რომლებიც აღნიშნულია მე-8 მუხლის 1 პუნქტში და რომლებიც რატიფიკაციას ახდენს, მიიღებს ან დაამტკიცებს წინამდებარე ოქმს ან შეუერთდება მას, 1 პუნქტში მითითებული ძალაში შესვლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, ოქმი ძალაში შევა ასეთი სახელმწიფოსა და ორგანიზაციის მიერ მისი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების სიგელის დეპოზიტარისთვის გადაცემიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

მუხლი 11

გამოსვლა

1. ნებისმიერ დროს, რომელიმე ხელშემკვრელი მხარესათვის წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ, ამ მხარეს შეუძლია ოქმიდან გამოსვლა დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ნებისმიერი ასეთი გამოსვლა ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს იმ დღიდან, როცა დეპოზიტარი მიიღებს გამოსვლის შესახებ შეტყობინებას.
2. ოქმიდან გამოსვლა არ მოქმედებს გამომსვლელი მხარის ფინანსურ ვალდებულებებზე იქამდე, ვიდრე გამოსვლა არ შევა ძალაში.

მუხლი 12

აუთენტური ტექსტები

წინამდებარე ოქმის ორიგინალი, რომელიც შეიცავს აუთენტურ ტექსტებს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, ჩაბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელისმომწერებმა, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შედგენილია უნივერსალური, ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი წლის ოცდარვა სექტემბერს.

შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების 1979 წლის
კონვენციის ოქმი ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ
მანძილებზე გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი
პროგრამის გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ
(EMEP)

დანართი, რომელიც მოხსენიებულია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო
დაბინძურების 1979 წლის კონვენციის ოქმის, ევროპაში ჰაერის
დამაბინძურებლების შორ მანძილებზე გავრცელების მონიტორინგისა და
შეფასების ერთობლივი პროგრამის გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ
(EMEP), მე-4 მუხლში

სავალდებულო შენატანები, ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ მანძილებზე
გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის (EMEP)
დასაფინანსებელი ხარჯების გასანაწილებლად, 2004 წლიდან გამოთვლილ იქნება შემდეგი
შეალის მიხედვით*

მხარეები	EMEP-ის შეალის მიხედვით
ბელორუსი	0.0442
ბოსნია და ჰერცოგოვინა	0.0093
ბულგარეთი	0.0303
კანადა	ნებაყოფლობითი
ხორვატია	0.0908
კვიპროსი	0.0885
ჩეხეთის რესპუბლიკა	0.4727
ესტონეთი	0.0233
უნგრეთი	0.2794
ლატვია	0.0233
ლიხტენშტეინი	0.0140
მალტა	0.0349
მონაკო	0.0093
ნორვეგია	1.5041
პოლონეთი	0.8801
რუმინეთი	0.1350
რუსეთის ფედერაცია	2.7940
სერბია და მონტენეგრო	0.0466
სლოვაკია	0.1001
სლოვენია	0.1886
შვეიცარია	2.9663
თურქეთი	1.0245
უკრაინა	0.1234
აშშ	ნებაყოფლობითი
ავსტრია	2.2050
ბელგია	2.6287
დანია	1.7439
ფინეთი	1.2154
საფრანგეთი	15.0552
გერმანია	22.7457

საბერძნეთი	1.2550
ირლანდია	0.6845
იტალია	11.7926
ლუქსემბურგი	0.1863
ნიდერლანდები	4.0467
პორტუგალია	1.0757
ესპანეთი	5.8646
შვედეთი	2.3906
დიდი ბრიტანეთი	12.8898
ევროგაერთიანება	3.3376
ჯამი	100.00

* თანამიმდევრობა, რომლითაც ხელშემკვრელი მხარეები არიან ჩამოთვლილი ამ დანართში არის წარმოდგენილი ხარჯების განაწილების სისტემის მიხედვით კონვენციის აღმასრულებელი საბჭოს შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ეს სია არის შედგენილი მხოლოდ EMEP-ის დაფინანსების ოქმისათვის